tgs kk group

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

tgs kk group

შინაარსი

მოსაზრება 3

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინასურ ანგარიშგებაზე 5

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინასური ანგარიშგების აუდიტზე 6

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში 9

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიში 10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 11

1.ზოგადი ინფორმაცია 11

2.მომზადების საფუძვლები 11

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 15

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 22

5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება 23

6. ფიქსირებული აქტივები 23

7. მარაგები 23

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 25

9. ფული და ფულის ექვივალენტები 25

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 25

11. შემოსავალი 25

12. პირდაპირი ხარჯები 25

13. არასაოპერაციო შემოსავალი 26

14. არასაოპერაციო ხარჯები 26

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 26

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 28

17. 2019 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან შესაბამისობის სისწორის დადგენა 29

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 29

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

მოსაზრება

ჩავატარეთ სს **„ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი კონსოლიდირებული საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხიმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სს **„ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინასური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული

აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა **ეროვნული ცენტრის„** 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება სს **„ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინასურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლ ნ წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინასური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა დაამტკიცა 2020 წლის 1 აპრილს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე კიკნაძე
გარიგების პარტნიორი

Konstantine Kiknadze
Digitally signed by Konstantine Kiknadze
Date: 2020.04.16 14:27:28 +04'00'

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

16 აპრილი 2020

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პრიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	9	1,298,077	1,077,881	1,514,649
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	1,320,021	958,698	1,034,785
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები			4,158	-
სასაქონლო მატერიალური მარაგი	7	1,559,511	1,533,466	1,866,240
წინასწარ გადახდილი გადასახადები			12,952	12,234
სხვა მიმდინარე აქტივები				1,468
სულ მიმდინარე აქტივები		**4,177,609**	**3,587,155**	**4,429,376**
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	6	28,447,145	29,234,797	29,458,824
მიწის ნაკვეთები, ნარგავები			*3,567,401*	*2,203,985*
შენობა-ნაგებობები			*22,756,927*	*24,250,320*
მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა			*2,913,469*	*3,004,519*
არამატერიალური აქტივები	6	3,154	1,831	1,562
სხვა გრძელვადიანი აქტივები		5,111,444	5,110,444	69,860
გრძელვადიანი მოთხოვნები			8	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**33,561,743**	**34,347,080**	**29,530,246**
სულ აქტივები		**37,739,353**	**37,934,235**	**33,959,622**
ვალდებულებები				
დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან	10	520,650	769,671	684,835
გადასახდელი ხელფასი		542,608	86,719	158,136
საგდასახადო ვალდებულებები		15,091	34,258	52,660
სხვა მიმდინარე ვალდებულებები				6,857
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**1,078,349**	**890,648**	**902,488**
გრძელვადიანი ვალდებულებები		65,304	90,548	22,907
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**65,304**	**90,548**	**22,907**
სულ ვალდებულებები		**1,143,653**	**981,196**	**925,395**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		37,947,196	40,384,864	36,284,377
სარეზერვო კაპიტალი		4,567,920	4,567,920	5,096,904
დაუფარავი ზარალი		(5,919,416)	(7,999,745)	(8,347,054)
სულ საკუთარი კაპიტალი		**36,595,700**	**36,953,039**	**33,034,227**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**37,739,353**	**37,934,235**	**33,959,622**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2018 წ.	12 თვე, 2019 წ.
საოპერაციო შემოსავალი	11	15,607,016	16,090,579
სულ საოპერაციო შემოსავალი		**15,607,016**	**16,090,579**
მომსახურების თვითღირებულება		(11,654,444)	(11,282,347)
საერთო მოგება/ზარალი		**3,952,572**	**4,808,232**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(3,270,822)	(3,224,878)
ცვეთა		(1,748,698)	(1,526,900)
გადასახადები			(82,735)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(528,695)	(603,424)
სულ საოპერაციო ხარჯები	12	**(5,548,215)**	**(5,437,937)**
საოპერაციო მოგება		**(1,595,643)**	**(629,705)**
არასაოპერაციო შემოსავალი	13	12,135	853,328
არასაოპერაციო ხარჯი	14	(496,821)	(570,932)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		**(484,686)**	**282,396**
მოგება დაბეგვრამდე		**(2,080,329)**	**(347,309)**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
16 აპრილი 2020
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
16 აპრილი 2020
თბილისი, საქართველო

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,947,196	4,567,920	(5,919,416)	**36,595,700**
პერიოდის ცვლილება	2,437,668		(2,080,329)	**357,339**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40,384,864	4,567,920	(7,999,745)	**36,953,039**
პერიოდის ცვლილება	(4,100,487)	528,984	(347,309)	**(3,918,812)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36,284,377	5,096,904	(8,347,054)	**33,034,227**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
16 აპრილი 2020
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
16 აპრილი 2020
თბილისი, საქართველო

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2018	2019
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	14,113,105	15,482,545
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(12,399,570)	(12,789,265)
გადახდილი გადასახადები	(1,955,121)	(2,248,229)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(241,586)	445,052
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(4,760)	(8,284)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	26,150	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	21,390	(8,284)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(220,196)	436,768
ფული და ფულის ექვივალტები პერიოდის დასაწყისში	1,298,077	1,077,881
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,077,881	1,514,649

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი„

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

სს **„ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"** (შემდგომში „საზოგადოება") დაარსდა 2001 წელს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, აჭარის ქ. N8. 2018-2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

	კომპანიის მფლობელობის წილი		
სახელწოდება	31.12.2018	31.12.2019	საქმიანობის ქვეყანა
შპს „თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი"	100%	100%	საქართველო
შპს „თბილისის №2 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი"	100%	100%	საქართველო
შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო"	100%	100%	საქართველო

2.მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში.

ცვლილებები სააღიცხვო პოლიტიკაში

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

გ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არის ძალაში შესული და კომპანიას არ დაუნერგავს ნაადრევად ექნებათ ან შეიძლება ჰქონდეთ გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ეს სტანდარტებია:

- **ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.**
- **ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები**

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;

- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე "კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს.

ფასს 15-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისაა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია "რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში". აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს,

რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.

- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ინსტრუმენტების სახეობათა რიგს, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა "ეკონომიკური ურთიერთობის" პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15-შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან

გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების

აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);

2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და

3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების

აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხედება თუ შეიცვლა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება დაუფარავი ზარალისაგან. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა დივიდენდის გაცემა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა).

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ქონების რეალიზაციითა და იჯარით მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როგორც საოპერაციო შემოსავალი .

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2017-2018 წლის 31 არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	*ევრო*
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა
დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.

ტერმინი "პირობითი ვადლდებულება" გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურსარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ვარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტრებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია :

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს

სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება

მე-3 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, ასევე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი ფინანსური ინფორმაციისთვის და 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებული საწყისი ნაშთებისთვის.

6. ფიქსირებული აქტივები

	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	მანქანა დანადგარები, აღჭურვილობა	არამატერიალური აქტივები	სულ
დეკემბერი 31, 2017	3,561,251	21,482,074	3,400,659	3,154	28,447,137
დეკემბერი 31, 2018	3,564,401	22,756,927	2,911,638	1,831	29,234,797
დეკემბერი 31, 2019	2,203,985	24,250,320	3,004,519	1,562	29,460,386

7. მარაგები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“

N	დასახელება	31.12.2019
1	მედიკამენტი "ტუბერკულოზის მართვა" სახელმწიფო შესყიდვა	665,577
2	ლაბორატორია "ტუბერკულოზის მართვა " სახელმწიფო პროგრამა	183,021
3	საქველმოქმედო აქციისათვის მოწოდებული მედიკამენტები (კვაჭაძე)	-
4	ტატა (ლაბორატორია)	7,839
5	მედიკამენტი	173,278
6	ჰუმანიტარული მედიკამენტი	29,097
7	GOPA ლაბორატორიული რეაქტივები და დამხმარე მასალები	8,530
8	სამეურნეო მასალები	83
9	საკანცელარიო მასალები	27,230
10	აფთიაქის დამხმარე მასალა	600
11	FIND რეაქტივები	10,577
12	საკვები პროდუქტი	19,473
13	ლევან საყვარელიძის დაავადებათა კონტროლის ცენტრი	989

	(შიდსი-პაპიტაშვილი)	
14	საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)	379
15	ნესტანის გრნატი	85,221
16	სამედიცინო (ქირურგიული) იარაღები	10,002
17	საწვავი	29,564
18	ჰუმანიტარული მასალები	79
19	მეთიუ -მატერიალური	79,087
20	სამეურნეო საქონელი საწყობი	111,775
21	medluhg-ის გან გადმოცემული დავით ჭყონიას საქონელი	1,629
22	ძირ. საშუალებების (აპარატურის) სახ. მასალა	42,388
23	სამედიცინო საქონელი აბასთუმანის	800
24	GF აფთიაქის მედიკამენტები	52,185
25	ტუბერკულ-ოზის მართვა" სახელმწიფო შესყიდვა აფთიაქის მედიკამენტები	23,242
	ჯამი	***1,562,645***
შპს „თბილისის №1 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა"		
N	დასახელება	31.12.2019
1	საქონელი	1,041
2	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	855
	ჯამი	***1,896***
შპს „თბილისის №2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა"		
N	დასახელება	31.12.2019
1	მზა პროდუქცია	3,506
2	ჰუმანიტარ-ული მედიკამენტები	30,862
	ჯამი	***34,368***
შპს „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი"		
	დასახელება	**31.12.2019**
1	საკანცელარიო	702
2	სათადარიგო ნაწილები	
3	ნედლეული და მასალები	4,206
4	სათბობ-საწვავი	9,519
5	მძღოლები	18
6	მედიკამენტები	6,757
7	რექრივები ლაბორატორიის	2,524
8	მედიკამენტ-ები ჰუმ	4,404
9	მც.ფას. და სწრაფ.ცვ.	4,962
10	მცირე ფასიანი ხმარებაში	230,989
11	მციერ ფას დასწრაფ ჰუმ	245
12	კ ვ ე ბ ა	3,006
	ჯამი	**267,331**
	სულ ჯამი	**1,866,240**

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

დასახელება	31.12.2018	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	958,698	1,034,785

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

დასახელება	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,138
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,512,510
ჯამი	1,514,648

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018-2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018	31.12.2019
დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან	769,671	684,835

11. შემოსავალი

შემოსავალი 2018-2019 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
საოპერაციო შემოსავალი	15,607,016	16,090,579

12. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2018-2019 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,270,822	3,224,878
ცვეთა	1,748,698	1,526,900
გადასახადები		82,735
სხვა საოპერაციო ხარჯები	528,695	603,424
ჯამი	**5,548,215**	**5,437,937**

13. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2018-2019 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
არასაოპერაციო შემოსავალი	12,135	853,328

14. არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები 2018-2019 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
არასაოპერაციო ხარჯი	496,821	570,932

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.
ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.
მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები (ლარი)	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,034,785	958,698	1,320,021
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,514,649	1,077,881	1,298,077
სულ ფინანსური აქტივები	2,549,434	2,036,579	2,618,098

ფინანსური ვალდებულებები (ლარი)	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	684,835	769,671	520,650

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფიხანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკრედიტო რისკი ფინანსური აქტივები (ლარი)	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,034,785	958,698	1,320,021
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,514,649	1,077,881	1,298,077
სულ ფინანსური აქტივები	2,549,434	2,036,579	2,618,098

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა

გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

16 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ზასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან

(მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

17. 2019 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან შესაბამისობის სისწორის დადგენა

აუდიტორთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები სუბიექტური შერჩევის მეთოდით.
სს ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრისა (ს/კ 202172139) და შვილობილი კომპანიების მიერ 2019 წელს განხორციელებული შესყიდვის ფორმების მიმოხილვა:

შესყიდვის ფორმა	გამოცხადების რაოდენობა	ტენდერის სტატუსი „შეწყვეტილია"	ტენდერის სტატუსი „არ შედგა"	ტენდერის სტატუსი „უარყოფითი შედეგი"	ტენდერის სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია"
ელექტრონული ტენდერი SPA	204	8	55	11	130

ჩვენს მიერ აუდიტის განხორციელების პროცესში შესწავლილ იქნა კომპანიის მიერ 2019 წელს ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული შესყიდვების სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. კანონმდებლობასთან შეუსაბამობის არსებითი ფაქტები არ გამოვლენილა.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კონსოლიდირებული

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი თ ი

ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა

ეროვნული ცენტრი“

საქართველო, ქ.

2020 წელი

საწარმო და მისი მართვა

აქციონერთა საერთო კრება

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ 100% სახელმწიფოს მიერ მფლობელობაში მყოფ ორგანიზაციაა. აქციონერთა საერთო კრებაწარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს და საკუთარი საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

საზოგადოებისდირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი.

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.
ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

1. საქმიანობის განვითარება , შედეგები და მდგომარეობა

1.1. საქმიანობის მიმოხილვა

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“100% სახელმწიფოს მიერ მფლობელობაში მყოფი საწარმოა, რომლის პროგრამულ მიზანს 2019 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №674 „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია წარმოადგენს.

სს„ტუბერკულოზისა დაფილტვისდაავადებათაეროვნულიცენტრი“ ოპერირებსმხოლოდსაქართველოსტერიტორიაზედამისძირითადშემოსავალს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვისსახელმწიფოპროგრამა, რომლის მოსარგებლეები არიან საქართველოსმოქალაქეები,საქართველოშიმუდმივად მცხოვრებიმოქალაქეობისარმქონედასაქართველოშიმყოფიბაქტერიაგამომყოფი (მგბ+)პირები დაპატიმრობისა დათავისუფლებისაღკვეთისდაწესებულებებში მყოფი პირები,კანონმდებლობითგათვალისწინებულიიდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტისქონისმიუხედავად.

1.2. საწარმოს განვითარების გეგმები

ტუბერკულოზი კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად ქვეყანაში. ტუბერკულოზი საქართველოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. გასული ათწლეულის განმავლობაში ტუბერკულოზის კონტროლის თვალსაზრისით მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატების მიუხედავად, ქვეყანა დგას რიგი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რომლებიც მოითხოვს შემდგომ გაძლიერებულ და კარგად ორგანიზებულ ძალისხმევას ეპიდემიის ეფექტიანი კონტროლის განსახორციელებლად დაავადების ყველა ფორმის პრევენციაზე, დიაგნოსტიკისა დამკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. ასევე მნიშვნელოვანია ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებების ეფექტური მართვა და ინტეგრაცია ჯანდაცვის სისტემაში.

საქართველოში ტუბერკულოზის კონტროლის სტრატეგიის მიზანია ტუბერკულოზის ტვირთის და მისი გავლენის შემცირება ქვეყნის ერთიან სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, ტუბერკულოზის ყველა ფორმის დროულ და ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, რაც შეამცირებს დაავადების გავრცელებას და მასთან დაკავშირებულ სიკვდილობას და მოახდენს წამალ-რეზისტენტობის შემდგომი განვითარების პრევენციას.

მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები

1. ადრეულ და ხარისხიან დიაგნოსტიკაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის;
2. ხარისხიან მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის პაციენტის სათანადო მხარდაჭერით;
3. მხარდამჭერი გარემოს და სისტემების შექმნა ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლის მიზნით;

განვითარების რესურსები

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირების საშუალებით საჭირო ინფორმაციული, ინტელექტუალური, მატერიელური რესურსების მოძიება, მობილიზება და მათი რეალიზება
- არსებული მაღალკვალიფიციური ექიმების ინტელექტუალური და პროფესიონალური რესურსის უფრო ეფექტურად გამოყენება შიდა სტანდარტული მომსახურების შემოსავლების ზრდის მიზნით
- შვილობილი კომპანიების საშუალებით სამედიცინო სერვისებზე ტერიტორიალური ხელმისაწვდომობის გაფართოება

1.3. ინფორმაცია საზოგადოების შვილობილი საწარმოების საქმიანობის შესახებ

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“–ს სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს ბრძანებით, საწესდებო კაპიტალში შეტანის გზით გადმოეცა ოთხი ტუბსაწიინაარმდეგო დისპანსერის 100% აქციები (მოხდა ორი მათგანის შერწყმა), რომლებიც შესაბამისად საწარმოს შვილობილ კომპანიებს წარმოადგენენ და სს„ტუბერკულოზისდა ფილტვის დაავადებათა ეროვნულიცენტრი“100% სახელმწიფოსმიერმფლობელობაშიმყოფი საწარმოა,რომლისპროგრამულიმიზანს2019წლის31 დეკემბერიდადგენილება№674 „2020წლისჯანმრთელობისდაცვისსახელმწიფოპროგრამებისდამტკიცებისშესახებ“ მიხედვითტუბერკულოზისავადობის, სიკვდილიანობისდასაზოგადოებაშიინფექციისგავრცელებისშემცირება, ტუბსაწინააღმდეგომედიკამენტებისმიმართრეზისტენტობისგანვითარებისპრევენციაწარმ ოადგენს.

1. შპს თბილისის N1 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა
2. შპს თბილისის N2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა
3. შპს აბასთუმნის ფილტვის ცენტრი

შპს აბასთუმნის ფილტვის ცენტრის“ გარდა ყველა შვილობილი კომპანიები ახორციელებენ მხოლოდ ამბულატორიულ მომსახურებას.

1.4. განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019წელს საწარმოშიგანხორციელდაშემდეგიღონისძიებები:

- სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს დახმარებით (საერთაშორისო ორგანიზაცია The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria - „აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი“-ს დახმარების ფარგლებში) ქ.თბილისში ვეკუას ქუჩაზეშპს თბილისის N2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიულi კლინიკისათვის“აშენდა და ახალი ამბულატორიული მომსახურების შენობა
- ა(ა)იპ „ასოციაციაატუ“-სდახმარებითდაბააბასთუმანშისაწარმოსშვილობილიკომპანიაშპს „აბასთუმნისფილტვისცენტრი“- ისათვისაშენდა და ყველანაირი ძირითადი საშუალებით აღიჭურვა ახალი შენობა-ნაგებობა, რომელშიც ფუნქციონირებადაიწყო სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი”-ს შვილობილმა საწარმომ შპს „ფილტვისდაავადებათასარეაბილიტაციოცენტრმა“ (100 საწოლთა ფონდი);
- ბიზნეს პროცესის და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელდა ორი შვილობილი საწარმოს რეორგანიზაცია/შერწყმა „შპს თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი(ს/ნ206051074) და შპს თბილისის №5 ტუბდისპანსერი“ (ს/ნ6208172591) და „შპს თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი, გახდა შპს თბილისის №5 ტუბდისპანსერი“-ს სამართალმემკვიდრე

- სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი”-ს შვილობილ საწარმოებს შეიცვალა საფირმოს დასახელებები და იურიდიული მისამართები: 1. შპს

თბილისის №1 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა"- „შპს თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი"-ის მაგივრად, იურიდიული და ფიზიკური მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქუჩა, N 81 2. შპს თბილისის №2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა" „შპს თბილისის №2 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი„-ის მაგივრად, იურიდიული და ფიზიკური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ქუჩა ვეკუა , N 1. 3. შპს „აბასთუმნისფილტვისცენტრი" შპს „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი"-ს მაგივრად, იურიდიული მისამართი: საქართველო, ადიგენის რაიონი, სოფელი აბასთუმანი.

- ტუბერკულოზისმკურნალობის ახალითანამედროვემედიკამენტებისგამოყენებისდასამედიცინოლაბორატორიულიგამოკვლევებისსამკურნალოპროცესშიჩართვითმიზნითმოხდაახალიმანიპულაციებისდამატება;
- გაუმჯობესდა სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევების მკურნალობის შედეგები, მათ შორის სტაბილურად მცირდება მეთვალყურეობიდან დაკარგული პაციენტების წილი, რაც ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევაა.
- პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებები სრულად ინტეგრირდა ტუბერკულოზის ეროვნულ პროგრამაში, მათი ეფექტურობა ციხეებში დადასტურებულია აქტიური ტუბერკულოზის ინციდენტობის შემცირებით და მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებით, რაც ქვეყანაში არსებულ ზოგად ტენდენციას შეესაბამება.
- სატელევიზიო გადაცემების, ვებ სივრცეში განთავსებული სტატიების, რადიო ინტერვიუების საშუალებებით მოხდა მოსახლეობის ტუბერკულოზის დაავადების, მისი გავრცელების, მკურნალობის და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"-ს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

1.5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1.5.1. არაფინანსური მაჩვენებლები

1.5.1.1სოციალური და დასაქმების საკითხები

საზოგადოება მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

ახალ თანამსრომელს პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.თანამსრომელს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

თანამშრომლის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავისი ანაზღაურება.

საწარმო ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზენაკისრივალდებულებებისშესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის წელიწადში ერთხელ უფასო სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებით

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. შესაბამისად

ანხორციელებსთანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით.ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და საწარმოს თანამშრომლებს მაღალი რისკის სფეროში უწევთ მოღვაწეობა. რათა მაქსიმალურად შემცირებულ იქნეს მწირი კვალიფიციური პერსონალის კერძო სექტორში გადინება და საწარმომ შეძლოს მასზე სახელმწიფოს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრების განსაკუთრებით საქმედიცინო პერსონალის შენარჩუნებას/მოტივაციის პროცესს და მათი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებული კონკურენტული ანაზღაურებით უზრუნველყოფას. დასახული მიზნის მისაღწევად საწარმოს ხელმძღვანელობა ცდილობს განავითაროს მომსახურების დამატებითი მიმართულებები, კერძოდ კი შიდა სტანდარტული მომსახურების მიმართულებით დაინერგოს ახალი მანიპულაციები, გაიზარდოს პაციენტთა ნაკადი და მაქსიმალურად ხელი შეეწყოს სახელობითი სამეცნიერო კვლევის პროგრამებში მონაწილეობას.

1.5.1.2 გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

საზოგადოებაგარემოსდაცვაზე ზრუნვას და ნარჩენების მართვა ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.სამედიცინო ნარჩენების განადგურება-უტილიზაცია ხორციელდება ტენდერში გამარჯვებული სპეციალიზირებული კონტრაქტორი კომპანიის საშუალებით.

საწარმო გარემოს დაცვის და ნარჩენების მართვის კუთხით ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

- საწარმოს ფუნქციონირებისას მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების დაგეგმვა და კონტროლი
- მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილება და მავნე ზემოქმედების კონტროლი
- თანამშრომელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით

1.5.2. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2019 მოგება ზარალი(კონსოლიდირებული)	
დასახელება	სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“.
სულ შემოსავალი	**16,090,579**
პროდუქციის თვითღირებულება	(11,282,347)
საერთო მოგება	**4,808,232**
კომერციული, ადმინისტრაციული და საერთი ხარჯები	(5,437,937)
საოპერაციო მოგება	**(629,705)**
არასაოპერაციო შემოსავალი	853,328
არასაოპერაციო ხარჯი	(570,932)
წმინდა მოგება	**(347,309)**

2019 ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი.(კონსოლიდირებული)	
დასახელება	სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
სულ ფულადი სასხრების შემოსავალი	15,482,545
სულ ფულადი სასსრების გადინება	15,045,777
ფულადი სახსრები პეროდის ბოლოს	**1,514,648**

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებია ფინანსური და არაფინანსური რისკები

2.1. ფინანსური რისკები

- ეროვნული ვალუტის გაუფასურება
- ენერგომატარებლებზე და წყალზე ფასების ზრდა
- სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების ზრდა
- მასალა ნედლეულზე (წამლები, რაქტივები და ა.შ) ფასების ზრდა
- პაციენტთა რაოდენობის შემცირება (ერთის მხროვ საწარმოს მიზანს ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხოვნების შემცირება , ხოლო მოერეს მხრივ საწარმოსთვის მოგების მიღება წარმოადგენს)

ფინანსური რისკების შემცირებისათვის საწარმო წლის დასაწყისში კანონის შესაბამისად ტენდერის სახით ახდენს საწვავის, სამომხმარებლო პროდუქციის, სამედიცინო პროდუქციის შეძენას.

2.2. არაფინანსური რისკები :

- დაავადების საწარმოს ტერიტორიიდან გავრცელების რისკი
- სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლა
- სამედიცინო-სამკურნალო საშუალებების(წამლები, რეაქტივები და ა.შ) მიმოქცების მონიტორინგი და კონტროლი

არაფინასური რისკების მართვისათვის შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო ალგორითმი..

ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და მისი გავრცელების რისკი დაავადებულთა ასეთი რაოდენობის კონცენტრაციის პირობებში ძალიან მაღალია. ხსენებული რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე ყველა დანაყოფში

ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სადიზინფექციო და ტუბერკულოზით ჯანმრთელი ადამიანის ინფიცირების წინააღმდეგ შემუშავებული პროგრამა. თითიეულ თანამშრომელს უტარდება სპეციალური ინსტუქტაჟი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ამასთან ერთად საწარმოს სამედიცინო და ადმინისტრაციული ნაწილი შენობებში ისეა განლაგებული, რომ მათ ერთანეთთან კვეთა არ აქვთ. პაციენტებთან მხოდოდ სამედიცინო პერსონალს შესაბამისი პირობის დაცვით უწევს ურთიერთობა.

სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ხდება მისი ჩანაცვლება გამართული აპარატურით, ხოლო დაზიანებული ტექნიკის აღსადგენად მისი სათადარიგო ნაწილის შეცვლა.

იქიდან გამომდინარე რომ ვადაგასული სამკურნალო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში პაციენტთან მიმართებაში სავალალო შედეგით შეიზლება დასრულდეს, კომპანიაში შექმნილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა , რომელიც საშუალება იძლევა წინასწარ დროულად ამოვიდეს ბრუნვიდან საწარმოში არსებული შესაბამისი სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები. ბრუნვიდან ამოღებული ვადაგასული სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები, ინახება სპეციალურ საწყობში და ექვემდებარება მოქმედი კანონმდებლობით ჩამოწერას და განადგურებას/ უტილიზაციას.

ზაზა ავალიანი

დირექტორი

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

მოსაზრება 3

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინასურ ანგარიშგებაზე 5

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინასური ანგარიშგების აუდიტზე 6

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში 9

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიში 10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 11

1.ზოგადი ინფორმაცია 11

2.მომზადების საფუძვლები 11

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 15

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 22

5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება 23

6. ფიქსირებული აქტივები 23

7. მარაგები 23

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 25

9. ფული და ფულის ექვივალენტები 25

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 25

11. შემოსავალი 25

12. პირდაპირი ხარჯები 25

13. არასაოპერაციო შემოსავალი 26

14. არასაოპერაციო ხარჯები 26

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 26

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 28

17. 2019 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან შესაბამისობის სისწორის დადგენა 29

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 29

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

მოსაზრება

ჩავატარეთ **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი კონსოლიდირებული საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხიმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინასური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული

აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინასურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინასური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქცინირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქცინირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის„** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა დაამტკიცა 2020 წლის 1 აპრილს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე კიკნაძე

გარიგების პარტნიორი

შპს ,,თიჯიეს-კკ ჯგუფი“

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

16 აპრილი 2020

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პრიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	9	1,298,077	1,077,881	1,514,649
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	1,320,021	958,698	1,034,785
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები			4,158	-
სასაქონლო მატერიალური მარაგი	7	1,559,511	1,533,466	1,866,240
წინასწარ გადახდილი გადასახადები			12,952	12,234
სხვა მიმდინარე აქტივები				1,468
სულ მიმდინარე აქტივები		**4,177,609**	**3,587,155**	**4,429,376**
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	6	28,447,145	29,234,797	29,458,824
მიწის ნაკვეთები, ნარგავები			*3,567,401*	*2,203,985*
შენობა-ნაგებობები			*22,756,927*	*24,250,320*
მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა			*2,913,469*	*3,004,519*
არამატერიალური აქტივები	6	3,154	1,831	1,562
სხვა გრძელვადიანი აქტივები		5,111,444	5,110,444	69,860
გრძელვადიანი მოთხოვნები			8	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**33,561,743**	**34,347,080**	**29,530,246**
სულ აქტივები		**37,739,353**	**37,934,235**	**33,959,622**
ვალდებულებები				
დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან	10	520,650	769,671	684,835
გადასახდელი ხელფასი		542,608	86,719	158,136
საგდასახადო ვალდებულებები		15,091	34,258	52,660
სხვა მიმდინარე ვალდებულებები				6,857
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**1,078,349**	**890,648**	**902,488**
გრძელვადიანი ვალდებულებები		65,304	90,548	22,907
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**65,304**	**90,548**	**22,907**
სულ ვალდებულებები		**1,143,653**	**981,196**	**925,395**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		37,947,196	40,384,864	36,284,377
სარეზერვო კაპიტალი		4,567,920	4,567,920	5,096,904
დაუფარავი ზარალი		(5,919,416)	(7,999,745)	(8,347,054)
სულ საკუთარი კაპიტალი		**36,595,700**	**36,953,039**	**33,034,227**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**37,739,353**	**37,934,235**	**33,959,622**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2018 წ.	12 თვე, 2019 წ.
საოპერაციო შემოსავალი	11	15,607,016	16,090,579
სულ საოპერაციო შემოსავალი		**15,607,016**	**16,090,579**
მომსახურების თვითღირებულება		(11,654,444)	(11,282,347)
საერთო მოგება/ზარალი		**3,952,572**	**4,808,232**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(3,270,822)	(3,224,878)
ცვეთა		(1,748,698)	(1,526,900)
გადასახადები			(82,735)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(528,695)	(603,424)
სულ საოპერაციო ხარჯები	12	**(5,548,215)**	**(5,437,937)**
საოპერაციო მოგება		**(1,595,643)**	**(629,705)**
არასაოპერაციო შემოსავალი	13	12,135	853,328
არასაოპერაციო ხარჯი	14	(496,821)	(570,932)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		**(484,686)**	**282,396**
მოგება დაბეგვრამდე		**(2,080,329)**	**(347,309)**

_____ _____

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,947,196	4,567,920	(5,919,416)	**36,595,700**
პერიოდის ცვლილება	2,437,668		(2,080,329)	**357,339**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40,384,864	4,567,920	(7,999,745)	**36,953,039**
პერიოდის ცვლილება	(4,100,487)	528,984	(347,309)	**(3,918,812)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36,284,377	5,096,904	(8,347,054)	**33,034,227**

_____ _____

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2018	2019
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	14,113,105	15,482,545
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(12,399,570)	(12,789,265)
გადახდილი გადასახადები	(1,955,121)	(2,248,229)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(241,586)	445,052
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(4,760)	(8,284)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	26,150	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**21,390**	**(8,284)**
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	**-**	**-**
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	**(220,196)**	**436,768**
ფული და ფულის ექვივალტები პერიოდის დასაწყისში	**1,298,077**	**1,077,881**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1,077,881**	**1,514,649**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

16 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „საზოგადოება") დაარსდა 2001 წელს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, აჭარის ქ. N8. 2018-2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

	კომპანიის მფლობელობის წილი		
სახელწოდება	31.12.2018	31.12.2019	საქმიანობის ქვეყანა
შპს „თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი"	100%	100%	საქართველო
შპს „თბილისის №2 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი"	100%	100%	საქართველო
შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო"	100%	100%	საქართველო

2.მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.
კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.
კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში.

ცვლილებები სააღიცხვო პოლიტიკაში

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არის ძალაში შესული და კომპანიას არ დაუნერგავს ნაადრევად ექნებათ ან შეიძლება ჰქონდეთ გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ეს სტანდარტებია:

- **ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.**
- **ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები**

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;

- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე "კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს.

ფასს 15-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისაა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია "რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში". აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს,

რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.

- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ინსტრუმენტების სახეობათა რიგს, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა "ეკონომიკური ურთიერთობის" პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15-შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან

გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მოსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების

აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);

2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და

3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების

აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხედება თუ შეიცვლა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება დაუფარავი ზარალისაგან. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა დივიდენდის გაცემა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა).

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ქონების რეალიზაციითა და იჯარით მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როგორც საოპერაციო შემოსავალი .

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2017-2018 წლის 31 არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	*ევრო*
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა
დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);

- კანონმდებლობა; ან

- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვადლდებულება“ გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

– ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

– პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურსარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტრებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია :

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს

სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება

მე-3 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, ასევე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი ფინანსური ინფორმაციისთვის და 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებული საწყისი ნაშთებისთვის.

6. ფიქსირებული აქტივები

	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	მანქანა დანადგარები, აღჭურვილობა	არამატერიალური აქტივები	სულ
დეკემბერი 31, 2017	3,561,251	21,482,074	3,400,659	3,154	28,447,137
დეკემბერი 31, 2018	3,564,401	22,756,927	2,911,638	1,831	29,234,797
დეკემბერი 31, 2019	2,203,985	24,250,320	3,004,519	1,562	29,460,386

7. მარაგები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“

N	დასახელება	**31.12.2019**
1	მედიკამენტი "ტუბერკულოზის მართვა" სახელმწიფო შესყიდვა	665,577
2	ლაბორატორია "ტუბერკულოზის მართვა " სახელმწიფო პროგრამა	183,021
3	საქველმოქმედო აქციისათვის მოწოდებული მედიკამენტები (კვაჭაძე)	-
4	ტატა (ლაბორატორია)	7,839
5	მედიკამენტი	173,278
6	ჰუმანიტარული მედიკამენტი	29,097
7	GOPA ლაბორატორიული რეაქტივები და დამხმარე მასალები	8,530
8	სამეურნეო მასალები	83
9	საკანცელარიო მასალები	27,230
10	აფთიაქის დამხმარე მასალა	600
11	FIND რეაქტივები	10,577
12	საკვები პროდუქტი	19,473
13	ლევან საყვარელიძის დაავადებათა კონტროლის ცენტრი	989

	(შიდსი-პაპიტაშვილი)	
14	საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)	379
15	ნესტანის გრნატი	85,221
16	სამედიცინო (ქირურგიული) იარაღები	10,002
17	საწვავი	29,564
18	ჰუმანიტარული მასალები	79
19	მეთიუ -მატერიალური	79,087
20	სამეურნეო საქონელი საწყობი	111,775
21	medluhg-ის გან გადმოცემული დავით ჭყონიას საქონელი	1,629
22	ძირ. საშუალებების (აპარატურის) სახ. მასალა	42,388
23	სამედიცინო საქონელი აბასთუმანის	800
24	GF აფთიაქის მედიკამენტები	52,185
25	ტუბერკულოზის მართვა" სახელმწიფო შესყიდვა აფთიაქის მედიკამენტები	23,242
	ჯამი	***1,562,645***
შპს „თბილისის №1 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა”		
N	დასახელება	31.12.2019
1	საქონელი	1,041
2	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	855
	ჯამი	***1,896***
შპს „თბილისის №2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა”		
N	დასახელება	31.12.2019
1	მზა პროდუქცია	3,506
2	ჰუმანიტარული მედიკამენტები	30,862
	ჯამი	***34,368***
შპს „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“		
	დასახელება	**31.12.2019**
1	საკანცელარიო	702
2	სათადარიგო ნაწილები	
3	ნედლეული და მასალები	4,206
4	სათბობ-საწვავი	9,519
5	მძღოლები	18
6	მედიკამენტები	6,757
7	რექრივები ლაბორატორიის	2,524
8	მედიკამენტები ჰუმ	4,404
9	მც.ფას. და სწრაფ.ცვ.	4,962
10	მცირე ფასიანი ხმარებაში	230,989
11	მციერ ფას დასწრაფ ჰუმ	245
12	კ ვ ე ბ ა	3,006
	ჯამი	**267,331**
	სულ ჯამი	**1,866,240**

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

დასახელება	31.12.2018	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	958,698	1,034,785

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

დასახელება	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,138
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,512,510
ჯამი	1,514,648

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018-2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018	31.12.2019
დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან	769,671	684,835

11. შემოსავალი

შემოსავალი 2018-2019 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
საოპერაციო შემოსავალი	15,607,016	16,090,579

12. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2018-2019 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	**2018**	**2019**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,270,822	3,224,878
ცვეთა	1,748,698	1,526,900
გადასახადები		82,735
სხვა საოპერაციო ხარჯები	528,695	603,424
ჯამი	**5,548,215**	**5,437,937**

13. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2018-2019 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
არასაოპერაციო შემოსავალი	12,135	853,328

14. არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები 2018-2019 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
არასაოპერაციო ხარჯი	496,821	570,932

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.
ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.
მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები (ლარი)	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,034,785	958,698	1,320,021
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,514,649	1,077,881	1,298,077
სულ ფინანსური აქტივები	2,549,434	2,036,579	2,618,098

ფინანსური ვალდებულებები (ლარი)	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	684,835	769,671	520,650

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკრედიტო რისკი ფინანსური აქტივები (ლარი)	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,034,785	958,698	1,320,021
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,514,649	1,077,881	1,298,077
სულ ფინანსური აქტივები	2,549,434	2,036,579	2,618,098

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა

გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

16 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან

(მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

17. 2019 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან შესაბამისობის სისწორის დადგენა

აუდიტორთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები სუბიექტური შერჩევის მეთოდით.
სს ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრისა (ს/კ 202172139) და შვილობილი კომპანიების მიერ 2019 წელს განხორციელებული შესყიდვის ფორმების მიმოხილვა:

შესყიდვის ფორმა	გამოცხადების რაოდენობა	ტენდერის სტატუსი „შეწყვეტილია“	ტენდერის სტატუსი „არ შედგა“	ტენდერის სტატუსი „უარყოფითი შედეგი“	ტენდერის სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“
ელექტრონული ტენდერი SPA	204	8	55	11	130

ჩვენს მიერ აუდიტის განხორციელების პროცესში შესწავლილ იქნა კომპანიის მიერ 2019 წელს ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული შესყიდვების სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. კანონმდბლობასთან შეუსაბამობის არსებითი ფაქტები არ გამოვლენილა.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 1 აპრილს.

კონსოლიდირებული

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი თი

ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა

ეროვნული ცენტრი“

საქართველო, ქ.

2020 წელი

საწარმო და მისი მართვა

აქციონერთა საერთო კრება

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ 100% სახელმწიფოს მიერ მფლობელობაში მყოფ ორგანიზაციაა. აქციონერთა საერთო კრებაწარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს და საკუთარი საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

საზოგადოებისდირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი.

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.
ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

1. საქმიანობის განვითარება , შედეგები და მდგომარეობა

1.1. საქმიანობის მიმოხილვა

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“100% სახელმწიფოს მიერ მფლობელობაში მყოფი საწარმოა, რომლის პროგრამულ მიზანს 2019 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №674 „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია წარმოადგენს.

სს„ტუბერკულოზისა დაფილტვისდაავადებათაეროვნულიცენტრი“ ოპერირებსმხოლოდსაქართველოსტერიტორიაზედამისძირითადშემოსავალს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვისსახელმწიფოპროგრამა, რომლის მოსარგებლეები არიან საქართველოსმოქალაქეები,საქართველოშიმუდმივად მცხოვრებიმოქალაქეობისარმქონედასაქართველოშიმყოფიბაქტერიაგამომყოფი (მგბ+)პირები დაპატიმრობისა დათავისუფლებისაღკვეთისდაწესებულებებში მყოფი პირები,კანონმდებლობითგათვალისწინებულიიდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტისქონისმიუხედავად.

1.2. საწარმოს განვითარების გეგმები

ტუბერკულოზი კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად ქვეყანაში. ტუბერკულოზი საქართველოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. გასული ათწლეულის განმავლობაში ტუბერკულოზის კონტროლის თვალსაზრისით მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატების მიუხედავად, ქვეყანა დგას რიგი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რომლებიც მოითხოვს შემდგომ გაძლიერებულ და კარგად ორგანიზებულ ძალისხმევას ეპიდემიის ეფექტიანი კონტროლის განსახორციელებლად დაავადების ყველა ფორმის პრევენციაზე, დიაგნოსტიკისა დამკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. ასევე მნიშვნელოვანია ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებების ეფექტური მართვა და ინტეგრაცია ჯანდაცვის სისტემაში.

საქართველოში ტუბერკულოზის კონტროლის სტრატეგიის მიზანია ტუბერკულოზის ტვირთის და მისი გავლენის შემცირება ქვეყნის ერთიან სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, ტუბერკულოზის ყველა ფორმის დროულ და ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, რაც შეამცირებს დაავადების გავრცელებას და მასთან დაკავშირებულ სიკვდილობას და მოახდენს წამალ-რეზისტენტობის შემდგომი განვითარების პრევენციას.

მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები

1. ადრეულ და ხარისხიან დიაგნოსტიკაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის;
2. ხარისხიან მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის პაციენტის სათანადო მხარდაჭერით;
3. მხარდამჭერი გარემოს და სისტემების შექმნა ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლის მიზნით;

განვითარების რესურსები

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირების საშუალებით საჭირო ინფორმაციული, ინტელექტუალური, მატერიელური რესურსების მოძიება, მობილიზება და მათი რეალიზება
- არსებული მაღალკვალიფიციური ექიმების ინტელექტუალური და პროფესიონალური რესურსის უფრო ეფექტურად გამოყენება შიდა სტანდარტული მომსახურების შემოსავლების ზრდის მიზნით
- შვილობილი კომპანიების საშუალებით სამედიცინო სერვისებზე ტერიტორიალური ხელმისაწვდომობის გაფართოება

1.3. ინფორმაცია საზოგადოების შვილობილი საწარმოების საქმიანობის შესახებ

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“–ს სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს ბრძანებით, საწესდებო კაპიტალში შეტანის გზით გადმოეცა ოთხი ტუბსაწიინაარმდეგო დისპანსერის 100% აქციები (მოხდა ორი მათგანის შერწყმა), რომლებიც შესაბამისად საწარმოს შვილობილ კომპანიებს წარმოადგენენ და სს„ტუბერკულოზისადა ფილტვის დაავადებათა ეროვნულიცენტრი“100% სახელმწიფოსმიერმფლობელობაშიმყოფი საწარმოა,რომლისპროგრამულიმიზანს2019წლის31 დეკემბერიდადგენილება№674 „2020წლისჯანმრთელობისდაცვისსახელმწიფოპროგრამებისდამტკიცებისშესახებ“ მიხედვითტუბერკულოზისავადობის, სიკვდილიანობისდასაზოგადოებაშიინფექციისგავრცელებისშემცირება, ტუბსაწინააღმდეგომედიკამენტებისმიმართრეზისტენტობისგანვითარებისპრევენციაწარმ ოადგენს.

1. შპს თბილისის N1 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა
2. შპს თბილისის N2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა
3. შპს აბასთუმნის ფილტვის ცენტრი

შპს აბასთუმნის ფილტვის ცენტრის“ გარდა ყველა შვილობილი კომპანიები ახორციელებენ მხოლოდ ამბულატორიულ მომსახურებას.

1.4. განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019წელს საწარმოშიგანხორციელდაშემდეგიღონისძიებები:

- სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს დახმარებით (საერთაშორისო ორგანიზაცია The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria - „აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი“-ს დახმარების ფარგლებში) ქ.თბილისში ვეკუას ქუჩაზეშპს თბილისის N2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიულi კლინიკისათვის“აშენდა და ახალი ამბულატორიული მომსახურების შენობა
- ა(ა)იპ „ასოციაციაატუ“-სდახმარებითდაბააბასთუმანშისაწარმოსშვილობილიკომპანიაშპს „აბასთუმნისფილტვისცენტრი“- ისათვისაშენდა და ყველანაირი ძირითადი საშუალებით აღიჭურვა ახალი შენობა-ნაგებობა, რომელშიც ფუნქციონირებადაიწყო სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი”-ს შვილობილმა საწარმომ შპს „ფილტვისდაავადებათასარეაბილიტაციოცენტრმა“ (100 საწოლთა ფონდი);
- ბიზნეს პროცესის და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელდა ორი შვილობილი საწარმოს რეორგანიზაცია/შერწყმა „შპს თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი(ს/ნ206051074) და შპს თბილისის №5 ტუბდისპანსერი“ (ს/ნ208172591) და „შპს თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი, გახდა შპს თბილისის №5 ტუბდისპანსერი“-ს სამართალმემკვიდრე

- სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი”-ს შვილობილ საწარმოებს შეიცვალა საფირმოს დასახელებები და იურიდიული მისამართები: 1. შპს

თბილისის №1 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა“- „შპს თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი“-ის მაგივრად, იურიდიული და ფიზიკური მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქუჩა, N 81 2. შპს თბილისის №2 ფილტვის დაავადებათა ამბულატორიული კლინიკა“ „შპს თბილისის №2 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი„-ის მაგივრად, იურიდიული და ფიზიკური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ქუჩა ვეკუა , N 1. 3. შპს „აბასთუმნისფილტვისცენტრი“ შპს „აბასთუმნის ფილტვის ცენტრი“-ს მაგივრად, იურიდიული მისამართი: საქართველო, ადიგენის რაიონი, სოფელი აბასთუმანი.

- ტუბერკულოზისმკურნალობის ახალითანამედროვემედიკამენტებისგამოყენებისდასამედიცინოლაბორატორიულიგამოკვლევებისსამკურნალოპროცესშიჩართვითმიზნითმოხდაახალიმანიპულაციებისდამატება;
- გაუმჯობესდა სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევების მკურნალობის შედეგები, მათ შორის სტაბილურად მცირდება მეთვალყურეობიდან დაკარგული პაციენტების წილი, რაც ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევაა.
- პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებები სრულად ინტეგრირდა ტუბერკულოზის ეროვნულ პროგრამაში, მათი ეფექტურობა ციხეებში დადასტურებულია აქტიური ტუბერკულოზის ინციდენტობის შემცირებით და მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებით, რაც ქვეყანაში არსებულ ზოგად ტენდენციას შეესაბამება.
- სატელევიზიო გადაცემების, ვებ სივრცეში განთავსებული სტატიების, რადიო ინტერვიუების საშუალებებით მოხდა მოსახლეობის ტუბერკულოზის დაავადების, მისი გავრცელების, მკურნალობის და სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“-ს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

1.5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1.5.1. არაფინანსური მაჩვენებლები

1.5.1.1სოციალური და დასაქმების საკითხები

საზოგადოება მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

ახალ თანამსრომელს პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.თანამსრომელს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

თანამშრომლის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავისი ანაზღაურება.

საწარმო ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზენაკისრივალდებულებებისშესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის წელიწადში ერთხელ უფასო სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებით

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. შესაბამისად

ანხორციელებსთანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით.ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და საწარმოს თანამშრომლებს მაღალი რისკის სფეროში უწევთ მოღვაწეობა. რათა მაქსიმალურად შემცირებულ იქნეს მწირი კვალიფიციური პერსონალის კერძო სექტორში გადინება და საწარმომ შეძლოს მასზე სახელმწიფოს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრების განსაკუთრებით საქმედიცინო პერსონალის შენარჩუნებას/მოტივაციის პროცესს და მათი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებული კონკურენტული ანაზღაურებით უზრუნველყოფას. დასახული მიზნის მისაღწევად საწარმოს ხელმძღვანელობა ცდილობს განავითაროს მომსახურების დამატებითი მიმართულებები, კერძოდ კი შიდა სტანდარტული მომსახურების მიმართულებით დაინერგოს ახალი მანიპულაციები, გაიზარდოს პაციენტთა ნაკადი და მაქსიმალურად ხელი შეეწყოს სახელობითი სამეცნიერო კვლევის პროგრამებში მონაწილეობას.

1.5.1.2 გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

საზოგადოებაგარემოსდაცვაზე ზრუნვას და ნარჩენების მართვა ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.სამედიცინო ნარჩენების განადგურება-უტილიზაცია ხორციელდება ტენდერში გამარჯვებული სპეციალიზირებული კონტრაქტორი კომპანიის საშუალებით.

საწარმო გარემოს დაცვის და ნარჩენების მართვის კუთხით ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

- საწარმოს ფუნქციონირებისას მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების დაგეგმვა და კონტროლი
- მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილება და მავნე ზემოქმედების კონტროლი
- თანამშრომელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით

1.5.2. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2019 მოგება ზარალი(კონსოლიდირებული)	
დასახელება	**სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“.**
სულ შემოსავალი	**16,090,579**
პროდუქციის თვითღირებულება	(11,282,347)
საერთო მოგება	**4,808,232**
კომერციული, ადმინისტრაციული და საერთი ხარჯები	(5,437,937)
საოპერაციო მოგება	**(629,705)**
არასაოპერაციო შემოსავალი	853,328
არასაოპერაციო ხარჯი	(570,932)
წმინდა მოგება	**(347,309)**

2019 ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი.(კონსოლიდირებული)	
დასახელება	სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“
სულ ფულადი სასხრების შემოსავალი	15,482,545
სულ ფულადი სახსრების გადინება	15,045,777
ფულადი სახსრები პეროდის ბოლოს	**1,514,648**

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებია ფინანსური და არაფინანსური რისკები

2.1. ფინანსური რისკები

- ეროვნული ვალუტის გაუფასურება
- ენერგომატარებლებზე და წყალზე ფასების ზრდა
- სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების ზრდა
- მასალა ნედლეულზე (წამლები, რაქტივები და ა.შ) ფასების ზრდა
- პაციენტთა რაოდენობის შემცირება (ერთის მხროვ საწარმოს მიზანს ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხოვნების შემცირება , ხოლო მოერეს მხრივ საწარმოსთვის მოგების მიღება წარმოადგენს)

ფინანსური რისკების შემცირებისათვის საწარმო წლის დასაწყისში კანონის შესაბამისად ტენდერის სახით ახდენს საწვავის, სამომხმარებლო პროდუქციის, სამედიცინო პროდუქციის შეძენას.

2.2. არაფინანსური რისკები :

- დაავადების საწარმოს ტერიტორიიდან გავრცელების რისკი
- სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლა
- სამედიცინო-სამკურნალო საშუალებების(წამლები, რეაქტივები და ა.შ) მიმოქცების მონიტორინგი და კონტროლი

არაფინასური რისკების მართვისათვის შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო ალგორითმი..

ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და მისი გავრცელების რისკი დაავადებულთა ასეთი რაოდენობის კონცენტრაციის პირობებში ძალიან მაღალია. ხსენებული რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე ყველა დანაყოფში

ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სადიზინფექციო და ტუბერკულოზით ჯანმრთელი ადამიანის ინფიცირების წინააღმდეგ შემუშავებული პროგრამა. თითიეულ თანამშრომელს უტარდება სპეციალური ინსტუქტაჟი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ამასთან ერთად საწარმოს სამედიცინო და ადმინისტრაციული ნაწილი შენობებში ისეა განლაგებული, რომ მათ ერთანეთთან კვეთა არ აქვთ. პაციენტებთან მხოდოდ სამედიცინო პერსონალს შესაბამისი პირობის დაცვით უწევს ურთიერთობა.

სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ხდება მისი ჩანაცვლება გამართული აპარატურით, ხოლო დაზიანებული ტექნიკის აღსადგენად მისი სათადარიგო ნაწილის შეცვლა.

იქიდან გამომდინარე რომ ვადაგასული სამკურნალო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში პაციენტთან მიმართებაში სავალალო შედეგით შეიზლება დასრულდეს, კომპანიაში შექმნილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა , რომელიც საშუალება იძლევა წინასწარ დროულად ამოვიდეს ბრუნვიდან საწარმოში არსებული შესაბამისი სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები. ბუნვიდან ამოღებული ვადაგასული სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები, ინახება სპეციალურ საწყობში და ექვემდებარება მოქმედი კანონმდებლობით ჩამოწერას და განადგურებას/ უტილიზაციას.

ზაზა ავალიანი

დირექტორი